



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბინადის განტოლება

ბინადის განტოლება, კომპლექსური ფორმით ჩანერილი მეორე რიგის კერძონარმოებულებიანი განტოლება, რომელიც დაიკვანძება თანაბრად ელიფსურ დიფერენციალურ განტოლებათა კონკრეტულ სისტემაზე.

ამ სისტემისთვის დირიხლეს ერთგვაროვან ამოცანას აქვს წრფივად დამოუკიდებელ რეგულარულ ამონახსნთა უსასრულო სიმრავლე რაგინდ მცირე რადიუსის წრეშიც კი ამიტომ, შესაბამისი არაერთგვაროვანი დირიხლეს ამოცანა არც ფრედჰოლმურია და არც ნიოტერული.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული სისტემისათვის იგივე ფაქტი მართებულია ნოიმანის ამოცანის შემთხვევაშიც. ა. ბინადის მიერ ამ სისტემის აგებამდე (1948-მდე) ცნობილი იყო, რომ მეორე რიგის ერთი განტოლების შემთხვევაში თანაბრად ელიფსურობა უზრუნველყოფს დირიხლეს ამოცანის ფრედჰოლმურობას.

ლიტ.: Б е р с Л., Д ж о н Ф., Ш е х т е რ М., Уравнения с частными производными, М., 1966; Б и ц а д з ე А. В., Некоторые классы уравнений в частных производных, М., 1981; Математическая энциклопедия, М., 1977, т. 1, с. 499; М и р а н д а К., Уравнения с частными производными эллиптического типа, М., 1957.

ვ. ჯაიანი
